4.1.16	სამშენებლო ნარჩენების გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კ.მ.)	ტ	33.84	
4.1.17	ჭების გამონგრეული ადგილის გამონოლითება ბეტონით B-25 F-200 W-6	მ^3	4.940	

4.1.18	საფუძვლის (საგები ფენის) მოწყობა ქვიშით (სისქე 10სმ)	მ^3	170.30	
4.1.19	ახალი წყალგამტარი რკინაბეტონის მილების მოწყობა Ø 1500	გრძ/მ.	38.00	
4.1.20	ახალი წყალგამტარი რკინაბეტონის მილების მოწყობა Ø 600	გრძ/მ.	42.00	
4.1.21	გოფრირებული მილის SN8 Ø1000 მმ. მოწყობა	გრძ/მ.	180.00	
4.1.22	გოფრირებული მილის SN8 Ø600 მმ. მოწყობა	გრძ/მ.	215.07	
4.1.23	გოფრირებული მილის SN8 Ø500 მმ. მოწყობა	გრძ/მ.	884.69	
4.1.24	გოფრირებული მილის SN8 Ø400 მმ. მოწყობა	გრძ/მ.	86.00	
4.1.25	გოფრირებული მილის SN8 Ø300 მმ. მოწყობა	გრძ/მ.	236.77	
4.1.26	ახალი წყალგამტარი ლითონის მილების მოწყობა Ø 325მმ	გრძ/მ.	11.60	
4.1.27	წყალგამტარი ლითონის მილების დაფარვა წასაცხები ჰიდროიზოლაციით (2 ჯერად) ბიტუმის მასტიკა	გრძ/მ.	170.30	
4.1.28	პლასტმასის მილების მოწყობის შემდგომ თხრილის შევსება ქვიშით (20 სმ)	მ^3	1959.00	
4.1.29	პლასტმასის მილების (ქვიშით შევსების შემდგომ) და რკინაბეტონის და ლითონის მილების მოწყობის შემდგომ დარჩენილი თხრილების შევსება ქვიშა ხრეშოვანი მასალით ფრ 0-120მმ.	მ^3	18109.7	
4.1.30	მიწისქვეშა გადასასვლელის ქვეშ არსებული გრუნტის ჰორიზონტალური გაბურღვა საბურღი დანადგარით (კროტი) (დიამეტრი 1,2მ)	m	10.00	
4.1.31	არსებულ'სათვალთვალო ჭებზე გადახურვის რკინაბეტონის ფილის (1.5X1.5 მ) მოწყობა ჩამონტაჟებული ოთხკუთხა ჩარჩო ხუფით (71X71 სმ)	კომპლექტი	27.00	
4.1.32	არსებული ჭების დაზიანებული გვერდმიმღები სახურავების შეცვლა ახლით	კომპლექტი	261.00	
4.1.33	საფუძვლის (საგები ფენის) მოწყობა ნიუჯერსების მოსაწყობად ფრაქციული ღორღით 0-40მმ (სისქე 20სმ)	მ^3	16.00	
4.1.34	ახალი ნიუჯერსების მოწყობა მექანიზირებული მეთოდით დემონტაჟირებული ნიუჯერსების ადგილზე (სპეცმანქანით) (ბეტონი B30)	grZ.m	160.00	
4.1.35	დასაწყობებული გრუნტის უკუჩაყრა მექანიზმებით ნიუჯერსებს შორის გაზონში	მ^3	160.00	
4.1.36	სათადარიგო ზოლების მონაკვეთების სავალი ნაწილის აღდგენა, რომელიც დემონტაჟირებული იქნა სანიაღვრე მილის მოწყობისათვის			
4.1.37	საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი მასალით (ზომით არაუმეტეს 0-120 მმ) სისქე 30 სმ	მ^3	45.00	
4.1.38	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40 მმ სისქე 20 სმ	მ^2	30.00	
4.1.39	ბიტუმის ემულსიის მოსხმა მთელ ფართზე (0,7 ლ/მ^2)	ტ	0.105	
4.1.40	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 7-სმ (0,1627ტ/მ^2)	მ^2	150.00	
4.1.41	60%-იანი ბიტუმის ემულსიის მოსხმა მთელ ფართზე (0,35ლ/მ^2)	ტ	0.0525	
4.1.42	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევი ადჰეზიური დანამატით სისქით 5-სმ (0,1216 ტ/მ²)	მ^2	150.000	
4.2	'სათვალთვალო ჭების მოწყობა ტიპი I (K)			
4.2.1	III კატეგორია გრუნტის დამუშავება მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	104.00	
4.2.2	III კატეგორია გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	10.400	
4.2.3	გრუნტის გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კ.მ.)	ტ	223.08	
4.2.4	საფუძვლის (საგები ფენის) მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ (სისქე 20სმ)	მ^3	11.20	
4.2.5	ჭის მოწყობა ასაწყობი რკინაბეტონის რგოლებით, რკ/ბ-ის ძირის მოწყობა და რკინაბეტონის დახურვის 1.5X1.5მ ფილის მოწყობა ჩამონტაჟებული ჩარჩო ხუფით, გარე კედლების ჰიდროიზოლაცია ბიტუმით (14 ც)	მ	28.00	
4.2.6	ქვაბულის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი მასალით ფრ 0-120 მმ და დატკეპნა	მ^3	82.00	
4.3	სათვალთვალო ჭების მოწყობა ტიპი II (KX)			

4.3.1	III კატეგორია გრუნტის დამუშავება მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	**37.03**	
4.3.2	IV კატეგორია გრუნტის დამუშავება მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	**8.63**	
4.3.3	III კატეგორია გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	**3.70**	
4.3.4	გრუნტის გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კ.მ.)	ტ	**96.68**	
4.3.5	საფუძვლის (საგები ფენის) მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ (სისქე 20სმ)	მ^3	**4.05**	
4.3.6	ჭის მოწყობა ასაწყობი რკინაბეტონის რგოლებით, რკ/ზ-ის ძირის მოწყობა და რკინაბეტონის დახურვის 1.5X1.5მ ფილის მოწყობა ჩამონტაჟებული ჩარჩო ხუფით, გარე კედლების ჰიდროიზოლაცია ბიტუმით (7 ც)	მ	**14.00**	
4.3.7	ქვაბულის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი მასალით ფრ 0-120 მმ და დატკეპნა	მ^3	**24.84**	
4.3.8	ბეტონის მონოლითური გვერდმიმღები ჭების მოწყობა (GV) (17ცალი)			
4.3.9	III კატეგორია გრუნტის დამუშავება მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	**91.80**	
4.3.10	III კატეგორია გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	**6.50**	
4.3.11	გრუნტის გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კ.მ.)	ტ	**191.69**	
4.3.12	საფუძვლის (საგები ფენის) მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ (სისქე 10სმ)	მ^3	**3.30**	
4.3.13	ჭის ბეტონის ძირისა და კედლების მოწყობა B-25 F-200 W-6	მ^3	**28.90**	
4.3.14	ჭის გადახურვის თუჯის გვერდმიმღები ხუფების მოწყობა	კომპლექტი	**17.0**	
4.3.15	გრუნტთან შეხების ადგილებში ჰიდროიზოლაციის წაცხება (2-ჯერად) ბიტუმის მასტიკა	მ^2	**139.00**	
4.3.16	ქვაბულის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი მასალით ფრ 0-120 მმ და დატკეპნა	მ^3	**60.20**	
4.3.17	რკინა-ბეტონის მონოლითური ორმაგი გვერდმიმღები ჭების მოწყობა (GVII) (4ცალი)			
4.3.18	III კატეგორია გრუნტის დამუშავება მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	**10.80**	
4.3.19	III კატეგორია გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	**0.77**	
4.3.20	გრუნტის გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კ.მ.)	ტ	**22.56**	
4.3.21	საფუძვლის (საგები ფენის) მოწყობა მჭლე ბეტონით B-7.5 (10სმ)	მ^3	**0.76**	
4.3.22	ჭის ბეტონის ძირისა და კედლების მოწყობა B-25 F-200 W-6	მ^3	**4.800**	
4.3.23	ჭის გადახურვის თუჯის ორმაგი გვერდმიმღები ხუფების მოწყობა	კომპლექტი	**4.0**	
4.3.24	გრუნტთან შეხების ადგილებში ჰიდროიზოლაციის წაცხება (2-ჯერად) ბიტუმის მასტიკა	მ^2	**24.00**	
4.3.25	ქვაბულის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი მასალით ფრ 0-120 მმ და დატკეპნა	მ^3	**5.20**	
4.4.	რკინა-ბეტონის მონოლითური სათვალთვალო ჭები (KM) (20 ცალი)			
4.4.1	III კატეგორია გრუნტის დამუშავება მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	**700.56**	
4.4.2	III კატეგორია გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	**77.60**	
4.4.3	V-VI კატეგორიის გრუნტი კატეგორია გრუნტის დამუშავება თხრილისათვის მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	**175.14**	

4.4.4	გრუნტის გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კ.მ.)	ტ	1902.72	
4.4.5	საფუძვლის (საგები ფენის) მოწყობა მჭლე ბეტონით B-7.5 (10სმ)	მ^3	10.56	
4.4.6	ჭის ბეტონის ძირისა და კედლების მოწყობა B-25 F-200 W-6	მ^3	134.560	
4.4.7	ჭის გადახურვის თუჯის გვერდმიმღები ხუფების მოწყობა	კომპლექტი	20.0	
4.4.8	გრუნტთან შეხების ადგილებში ჰიდროიზოლაციის წაცხება (2-ჯერად) ბიტუმის მასტიკა	მ^2	736.00	
4.4.9	ქვაბულის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი მასალით ფრ 0-120 მმ და დატკეპნა	მ^3	467.00	
4.5	რკინა-ბეტონის მონოლითური არასტანდარტული ჭების მოწყობა (CXN1,KCXA1) (2ცალი)			
4.5.1	III კატეგორია გრუნტის დამუშავება მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	15.60	
4.5.2	III კატეგორია გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	0.83	
4.5.3	გრუნტის გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კ.მ.)	ტ	32.04	
4.5.4	საფუძვლის (საგები ფენის) მოწყობა მჭლე ბეტონით B-7.5 (10სმ)	მ^3	1.57	
4.5.5	ჭის ბეტონის ძირისა და კედლების მოწყობა B-25 F-200 W-6	მ^3	12.060	
4.5.6	ჭის გადახურვის ხუფების მოწყობა (თუჯის გვერდმიმღები ხუფი-2ც, თუჯის ხუფი ოთხკუთხა ჩარჩოთი 71*71სმ - 2ც, თუჯის ცხაურა ოთხკუთხა ჩარჩოთი 71*71სმ - 2ც)	კომპლექტი	8.0	
4.5.7	გრუნტთან შეხების ადგილებში ჰიდროიზოლაციის წაცხება (2-ჯერად) ბიტუმის მასტიკა	მ^2	39.00	
4.5.8	ქვაბულის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი მასალით ფრ 0-120 მმ და დატკეპნა	მ^3	9.30	
5	თავი V. სახანძრო ჰიდრანტის ქსელის მოწყობა			
5.1	სახანძრო ჰიდრანტებისათვის დ=150 მმ-იანი მაგისტრალური მილის მოწყობა			
5.1.1	III კატეგორია გრუნტის დამუშავება თხრილისათვის მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	1209.68	
5.1.2	III კატეგორია გრუნტის დამუშავება თხრილისათვის ხელით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	134.410	
5.1.3	თხრილის ძირის პროფილირება (მოსწორება) ხელით (III კატეგორიის გრუნტი)	m^2	807	
5.1.4	გრუნტის გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კ.მ.)	ტ	2620.98	
5.1.5	საფუძვლის (საგები ფენის) მოწყობა ქვიშით (სისქე 10სმ)	მ^3	632.15	
5.1.6	პოლიეთილენის მილების 150მმ დიამეტრის (10 ატმოსფერო) მოწყობა	გრძ/მ.	1345.00	
5.1.7	პლასტმასის მილების მოწყობის შემდგომ თხრილის შევსება ქვიშით (30 სმ)	მ^3	443.85	
5.1.8	პლასტმასის მილების მოწყობის ქვიშით შევსების შემდგომ დარჩენილი თხრილის შევსება ქვიშა ხრეშოვანი მასალით ფრ 0-120მმ.	მ^3	726.3	
5.2	სათვალთვალო ჭების მოწყობა			
5.2.1	III კატეგორია გრუნტის დამუშავება მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	61.44	
5.2.2	III კატეგორია გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	15.36	
5.2.3	გრუნტის გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კ.მ.)	ტ	149.76	
5.2.4	საფუძვლის (საგები ფენის) მოწყობა ფრაქციული ღორღით 0-40მმ სისქე 20სმ	მ^3	18.00	

5.2.5	ჭის მოწყობა ასაწყობი რკინაბეტონის რგოლებით, რკ/ბ-ის ძირის მოწყობა და რკინაბეტონის დახურვის 1.5X1.5მ ფილის მოწყობა ჩამონტაჟებული ჩარჩო ხუფით, გარე კედლების ჰიდროიზოლაცია ბიტუმით (8ც)	მ	12.00	
5.2.6	ქვაბულის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი მასალით ფრ 0-120 მმ და დატკეპნა	მ^3	48.16	
5.3	სახანძრო ჰინდრანტების მოწყობა			
5.3.1	III კატეგორია გრუნტის დამუშავება თხრილისათვის მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	57.45	
5.3.2	III კატეგორია გრუნტის დამუშავება თხრილისათვის ხელით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	57.450	
5.3.3	გრუნტის გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების წაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კ.მ.)	ტ	224.06	
5.3.4	საფუძვლის (საგები ფენის) მოწყობა ქვიშით (სისქე 10სმ)	მ^3	4.64	
5.3.5	ლითონის მილების DN 80 მოწყობა (ჰიდრანტის მაგისტრალურ მილთან შემაერთებელი)	გრძ/მ.	35.20	
5.3.6	ფოლადის მილი 150მმ მოწყობა (მაგისტრალურ მილთან დასაერთებლად სამკაპების მოსაწყობად)	გრძ/მ.	9.60	
5.3.7	ჰინდრანტი N10-ის მოწყობა	კომპლექტი	8.00	
5.3.8	ლითონის მილების გარე ზედაპირის დამუშავება ანტიკოროზიული ლაქით	მ^2	112.00	
5.3.9	სარქველის და სამკაპის საყრდენი დგარის მოწყობა მონოლითური ბეტონით B-25 F-100 W-6	მ^3	0.40	
5.3.10	მილების მოწყობის შემდგომ თხრილის შევსება ქვიშით (30 სმ)	მ^3	14.00	
5.3.11	მილების მოწყობის ქვიშით შევსების შემდგომ დარჩენილი თხრილის შევსება ქვიშა ხრეშოვანი მასალით ფრ 0-120მმ.	მ^3	59.0	
6	თავი VI. სხვა სამუშოები			
6.1	რკინა-ბეტონის ნაკეთობების (პარაპეტი, კიბე, მცირე ზომის კედელი, ფილა და სხვა) მოწყობა	მ^3	7.50	
7	თავი VII. საგზაო ნიშნების მონტაჟი			
7.1	III კატეგორია გრუნტის დამუშავება მექანიზმებით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	36.20	
7.2	III კატეგორია გრუნტის დამუშავება ხელით, დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	მ^3	9.00	
7.3	გრუნტის გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების წაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კ.მ.)	ტ	88.14	
7.4	საგზაო ნიშნების მონტაჟი ერთ საყრდენზე, ბეტონის საძირკველზე	ც	504.00	
7.5	ბეტონის საძირკველის მოწყობა დგარებისათვის	მ^3	40.32	
7.6	საგზაო ნიშნების მონტაჟი გვარლზე (ტროსზე) და საჭირო ბომების მოწყობა (ბეტონის საძირკველზე)	ც	61.000	
7.7	ბეტონის საძირკველის მოწყობა დგარებისათვის	მ^3	4.88	
7.8	სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა თეთრი თერმო პლასტით, გაუმჯობესებული ღამის ხილვადობის შუქდამაბრუნებელი მინის ბურთულაკებით ზომით 30-600 მკმ-დე	მ^2	6942.980	
7.9	სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა თეთრი ცივი პლასტით, გაუმჯობესებული ღამის ხილვადობის შუქდამაბრუნებელი მინის ბურთულაკებით ზომით 30-600 მკმ-დე	მ^2	2692.000	

ძირითადი სამშენებლო მანქანების და სატრანსპორტო საშუალებების საჭირო რაოდენობათა უწყისი

№	დასახელება	ერთეული	რაოდენობა
1	ავტოგრეიდერი	ცალი	3
2	ავტოგუდრონატორი	ცალი	1
3	საგზაო ფრეზი	ცალი	2
4	ავტო ამწე	ცალი	1
2	კომპრესორი მოძრავი	ცალი	1
5	სანგრევი ჩაქუჩები	ცალი	4
6	ექსკავატორი	ცალი	4
7	სატკეპნი გლუვვალციანი 16-20 ტ	ცალი	2
8	სატკეპნი პნევმატური 10-12 ტ	ცალი	2
19	სატკეპნი ვიბრაციული 6 ტ	ცალი	2
10	ასფალტდამგები	ცალი	2
11	ბორდიურების დამგები სპეც მანქანა	ცალი	1
12	გზის მოსანიშნი მანქანა	ცალი	1
13	სარწყავ-სარეცხი მანქანა	ცალი	2
14	ავტობეტონამრევი	ცალი	1
15	ავტოთვითმცლელი	ცალი	10
16	ბორტიანი მანქანა	ცალი	2

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებულია, შპს „ გზაჯვარედინი ოცდამეერთე“-ს მიერ, ქ .თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული #02.03.01/30/278 04. 06. 2018 წ-ის ხელშეკრულების საფუძველზე (გამარტივებული ელექტრონული ტენდერი NAT 180007332).

ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი ნორმებისა და წესების შესაბამისად.

დავალების თანახმად, შპს „გზაჯვარედინი ოცდამეერთე“-ს სპეციალისტების მიერ ადგილზე განხორციელებული იქნა საპროექტო ობიექტის საკვლევ-საძიებო სამუშაოები. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და ტოპოგრაფიული გადაღება.

ობიექტი აგეგმილია leica totalstation-ით UTM WGS-84-კორდინატთა სისტემაში.

დავალება შესრულებულია ტექნიკური დავალების შესაბამისად, ადგილზე დამაგრებული იქნა რეპერები მაღალი სიზუსტის GPS-ის გამოყენებით, GEO Corsi-ის სისტემასთან თავსებადობით. მონაცემების კამერალური დამუშავებისას გამოყენებული იქნა საავტომობილო გზების ავტომატიზირებული პროექტირების სიტემის Autodesk AutoCad Civil 3D და Indor CAD Paverment კომპიუტერული პროგრამები. საველე მასალების დამუშავებისა და მონაცემების სათანადო ანალიზის საფუძველზე კამერალურად განსაზღრული იქნა განსახორციელებელი სამუშაოების სახეობები სათანადო მოცულობებით, დამუშავდა გრაფიკული მასალა (გზის გეგმა, გრძივი პროფილი, საგზაო სამოსის კონსტრუქცია, განივი კვეთები და სხვა). სამუშაოთა მოცულობებზე დაყრდნობით შედგენილი იქნა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც შედგენილია სამშენებლო რესურსების ფასთა კრებულის და საბაზრო ფასების მიხედვით.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები: წარმოდგენილია გეოლოგიური კვლევევის ანგარიშში, ცალკე წიგნად.

საპროექტო ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის მოკლე აღწერა: ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილის საპროექტო მონაკვეთი მოიცავს ჯორჯ ბუშის ქუჩას და კახეთის გზატკეცილს აეროპორტის ხიდებამდე, ხიდისქვეშა ტერიტორიის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს შიდა სახელმწიფოებრივი დანიშნულების გზას. აღნიშნული გზით სარგებლობს, როგორც საზოგადო ასევე სხვა სატრანსპორტო საშუალებები. საპროექტო ობიექტის სიგრძე ორივე მიმართულებით დაახლოებით ტოლია 20,940კმ.

დღევანდელი ტექნიკური მდგომარეობით საპროექტო გზის მონაკვეთი წარმოადგენს ამორტიზირებულ გზას, შეიმჩნევა ბზარები, გარკვეულ მონაკვეთებზე დარღვეულია გზის გრძივი და განივი პროფილები. გზის გარკვეულ მონაკვეთებზე სანიაღვრე სისტემა საჭიროებს სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და/ან ახლის მოწყობას.

ზემოთ აღნიშნული გზა, ფიზიკური და მორალური ცვეთის სიმძიმის გამო, საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების, კაპიტალური შეკეთების ჩატარების აუცილებლობას.

კახეთის გზატკეცილის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შედგენილია საქართველოს ეროვნული სტანდარტის (სსტ GZEBI: 2009) და СНИП 2.05.02-85 და СНиП IV-5-82-ის გამოყენებით, გზის არსებული გეომეტრიული მდგომარეობის გათვალისწინებით.

გზის გეგმა და გრძივი პროფილი შეთანხმებულია დამკვეთთან.

გზის გეგმა: საპროექტო ზოლის მონაკვეთის საერთო სიგრძე მოცემული პროექტით შეადგენს სულ 20940,18 გრ.მ-ს. (სიგრძეში ორჯერ არის აღებული ღერძი IV სიგრძე და ღებითის I პკ3+15,50 დან პკ 6+16,25 მდე მონაკვეთი არის მეორეთ დამატებული)

საპროექტო ობიექტი დაპროექტებულია 4 ღერძზე;

I ღერძი იწყება შავი ზღვის ქუჩის ჩასასვლელის მიმდებარე ტერიტორიიდან და მთავრდება გზატკეცილის დასაწყისის მიმდებარე ტერიტორიაზე.

II ღერძი იწყება I ღერძის დასაწყისიდან მისი საპირისპირო მიმართულებით. გარკვეული მონაკვეთის შემდეგ უხვევს და გრელდება I ღერძის პარალელურად. მთავრდება I ღერძის პკ 3+15.50
III ღერძი იწყება I ღერძის პკ 6+16.25 და მთავრდება გზატკეცილის დასაწყისის მიმდებარე ტერიტორიაზე.
IV ღერძი იწყება I და III ღერძების ბოლოდან და მთავრდება აეროპორტის ხიდებთან, ხიდისქვეშა ტერიტორიის ჩათვლით.

საპროექტო გზის ღერძი ძირითადად ემთხვევა არსებული გზის ძირითად ღერძს. პროექტის მიხედვით გაუმჯობესებულია არსებული გზის გეომეტრიული პარამეტრები და განთვისების ზოლი. მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით პროექტში შეტანილია კორექტირებები ოპტიმალურად სრულყოფის მიზნით.

გზაზე გვხვდება სულ 25 მოხვევის კუთხე, მათ შორის I ღერძზე - 8 მოხვევის კუთხე; II ღერძზე -4 მოხვევის კუთხე; III ღერძზე - 5 მოხვევის კუთხე; IV ღერძზე - 8 მოხვევის კუთხე;
წვეროების ადგილმდებარეობა მოცემულია მოხვევის კუთხეების, სწორეების და მრუდების უწყისში, რომელიც პროექტს თან ერთვის.
I ღერძზე სავალი ნაწილის სრული ზოლი ძირითადად 2-ია, გარკვეულ მონაკვეთებზე იზრდება 4-მდე, თითო ზოლის სრული სიგანე მიღებულია 3,75მ. აგრეთვე გარე ზოლი, რომლის საგანე ცვალებადია არანაკლებ 3,5მ. (გარე ზოლად მიჩნეულია სრული ზოლების შემდგომ დარჩენილი ზოლი)
II ღერძზე სრული ზოლი ძირითადად 2-ია, თითო ზოლის სრული სიგანე მიღებულია 3,75მ. ხოლო მესამე გარე ზოლი,რომლის საგანე ცვალებადია არანაკლებ 3,5მ.
III ღერძზე სავალი ნაწილის სრული ზოლი 3-ია გარკვეულ მონაკვეთებზე ემატება გარე ზოლი ცვალებადი სიგანის. თითო ზოლის სრული სიგანე მიღებულია 3,5მ.
IV ღერძზე სავალი ნაწილის სრული ზოლი 6-ია, თითოეულ მხარეს 3, შუაში გზაგამყოფით, რომელიც შედგება არსებული ნიუჯერსებისაგან და საშუალოდ 2მ სიგანის გაზონისაგან. I ზოლის სიგანე, რომელიც არის გზაგამყოფთან, არის 4,25მ. შუა ზოლები 3,75მ, გარე ზოლები არანაკლებ 3,5მ-ისა, რომელიც დაპროექტებულია არსებული გვერდმიმღებიანი ჭების გათვალისწინებით.
გზის IV ღერძი დაპროექტებულია არსებულ გზაგამყოფ გაზონზე, რის გამოც IV ღერძის გრძივ პროფილებში ნაჩვენები შავი ზედაპირი წარმოადგენს გზაგამყოფი გაზონის ზედაპირს. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მარჯვენა და მარცხენა სავალი ნაწილის გრძივი პროფილები განსხვავდება ერთმანეთისგან. აქედან გამომდინარე საპროექტო გზის გძივი პროფილები წარმოდგენილია ცალცალკე და მოცემულია გზის ბროკაზე.

ყველა ღრძზე განივი ქანობი გზის ღერძის მიმართ ცალმხრივია, რიცხობრივად კი შეადგენს საშუალოდ 25‰-ს (მცირედი მეტ-ნაკლებობით).

საპროექტო ზოლის მონაკვეთზე გათვალისწინებულია 23 მიერთების და 18 ეზოში შესასვლელის მოწყობა, მიერთებები და ადგილობრივი შესასვლელები დაპროექტებულია არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით (მცირეოდენი კორექტირებებით საჭიროებისამებრ). IV ღერძზე ეწყობა 23 დაერთება ძირითად და სათადარიგო ზოლებს შორის.

საპროექტო პოზიციები დეტალურად ასახულია სიტუაციურ გეგმაზე, ხოლო სიგანეები და ზედაპირის ნიშნულები კი განივ პროფილებზე. მიერთებების, დაერთებების და ეზოში შესასვლელების მდებარეობა, პარამეტრები და მოცულობები წარმოდგენილია შესაბამის უწყისებში.

გრძივი პროფილი: საპროექტო გზის გრძივი პროფილი დაპროექტებულია საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების გეომეტრიული და სტრუქტურული სტანდარტების მიხედვით, ადგილობრივი ტოპოგრაფიული და გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით.

გზის გრძივი პროფილი ძირითადად ემთხვევა არსებული გზის გრძივ პროფილს (მცირეოდენი ცვლილებებით).

I, II და III ღერძებზე გზის გრძივი პროფილის არსებული და საპროექტო ნიშნულები მიეკუთვნება საპროექტო გზის ღერძის ნიშნულებს, რომლებიც ადგილზე მიბმულია გზის გასწვრივ განლაგებულ დროებით გეგმიურ სიმაღლურ წერტილებზე (რეპერებზე).

IV ღერძის შავი ნიშნულები ნიშნულები მიეკუთვნება საპროექტო გზის ღერძის ნიშნულებს, ხოლო საპროექტო ნიშნულები მიეკუთვნეა სავალი ნაწილის ბროვკაზე, ნიუჯერსის კიდეზე, რომლებიც ადგილზე მიბმულია გზის გასწვრივ განლაგებულ დროებით გეგმიურ სიმაღლურ წერტილებზე (რეპერებზე).
გეგმიურ სიმაღლური წერტილების ადგილმდებარეობა, დამაგრების სქემები და კოორდინატები მოცემულია ცალკე უწყისში, რომელიც თანდართულია პროექტზე.

მოსამზადებელი სამუშაოები: ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა განხორციელდეს ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხების მომზადება, სამუშაოთა წარმოების ფრონტის უზრუნველსაყოფად.

პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება:

- არსებული ასფალტობეტონის დაშლა ცივი ფრეზირების მეთოდით და დასაწყობება ადგილზე შემდგომი გამოყენებისათვის და ნაწილის გატანა დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე
- ა/ბეტონის დემონტაჟი მექანიზმებით და ხელის სანგრევი ჩაქუჩებით, დატვირთვა ა/თვიტომცლელზე და გატანა.
- არსებული დაზიანებული ბეტონის ფილების დემონტაჟი ხელის სანგრევი ჩაქუჩებით და დატვირთვა ა/თვითმცლელზე
- ბეტონის ნაკეთობების (მცირე ზომის კედელი, პარაპეტი, კიბე, ცოკოლი და სხვა) დემონტაჟი მექანიზმებით და ხელის სანგრევი ჩაქუჩებით, დატვირთვა ა/თვიტომცლელზე და გატანა.
- არსებული ჭების მოყვანა გზის ნიშნულზე, ბეტონის საგებზე მოწყობით. (ბეტონი B25 F200 W6)
- გრუნტის და სამშენებლო ნარჩენების დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15კმ.) გაფხვიერების კოეფიციენტი 1.2

მიწის ვაკისი: საპროექტო გზის მიწის ვაკისი დაპროექტებულია საქართველოში მოქმედი ნორმებისა და ტიპიური საპროექტო გადაწყვეტილებების მოთხოვნების შესაბამისად.

მიწის ვაკისის მოსაწყობად შესასრულებელი სამუშაოების სახეობები, უბნების ადგილმდებარეობები, საჭირო მასალები და შესრულების ხერხები მოცემულია პროექტში თანდართულ სათანადო უწყისებში და ნახაზებზე.

საგზაო სამოსი: საგზაო სამოსის კონსტრუქცია მიღებულია კაპიტალური ტიპის ა/ბეტონის საფარით. საველე სამუშაოებისა და დიაგნოსტიკური კვლევების პროცესში განისაზღვრა არსებული საგზაო სამოსის ა/ბეტონის რამოდენიმე ფენიანი შრე და განისაზღვრა არსებული გზის სამოსის კონსტრუქციის სისქეები. აღნიშნული კვლევებისა და შესაბამისი შედეგების (დასკვნების) გათვალისწინებით მოხდა საპროექტო გზის სამოსის შერჩევა და გაანგარიშება ექსპლუატაციის 15 წლიანი ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

მოძრაობის ინტენსიურობის სიდიდე დადგენილი იქნა კახეთის გზატკეცილის ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურობის მიხედვით დამკვეთის მოთხოვნით. საგზაო სამოსის კონსტრუქცია გაანგარიშებული იქნა გზის იმ მონაკვეთებში სადაც მოძრაობა ინტენსიურია, რომელიც ტოლია საშუალოდ 20380 ავტომობილი დღე-ღამეში (რომელიც დათვლილი იქნა ჩვენს მიერ, რადგან წერილობით მივმართეთ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს, ტრანსპორტის ინტენსივობის სიდიდესთან დაკავშირებით არსებულ გზაზე, მათი პასუხით ასეთი ინფორმაცია არ გააჩნიათ და თავად უნდა მოვახდინოთ შესაბამისი კვლევა ვიზუალურად.)

საგზაო სამოსის კონსტრუქციული ფენების სისქეების გაანგარიშება მოხდა დრეკადი ჩაღუნვების მეთოდით, ВСН 46_83 "არახისტი საგზაო სამოსის პროექტირების ინსტრუქცია"-ს მიხედვით.

გაანგარიშებისთვის დანიშნულია შემდეგი კონსტრუქცია:

შერჩეულია საგზაო სამოსის ა/ბეტონის ორი ტიპი, რაც გამოწვეულია არსებული გრუნტების კატეგორიების გათვალისწინებით.

ა/ბეტონის საფარის I ტიპი - გაანგარიშებულია მყარ და ძნელპლასტიური თიხოვანი გრუნტებისთვის.

საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი მასალით (0-120) (სისქე 40სმ)
საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა სტაბილიზირებული ფენით შემდეგი შემადგენლობით: ფრაქციული ღორღი - 70% ადგილზე ფრეზირებული ასფალტი-30%, ცემენტი 3% ბიტუმი 3% (სისქე 25სმ)
საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 8-სმ

საფარის შუა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით (0,1859 ტ/მ2) სისქით 8-სმ
საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით ადჰეზიური დანამატით სისქით 5-სმ

ა/ბეტონის საფარის II ტიპი - გაანგარიშებულია კენჭოვან, ხრეშოვან, ქვიშოვანი მსხვილმარცვლოვანი გრუნტისთვის,

საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი მასალით (0-120) (სისქე 25 სმ)
საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა სტაბილიზირბული ფენით შემდეგი შემადგენლობით: ფრაქციული ღორღი - 70% ადგილზე ფრეზირებული ასფალტი-30%, ცემენტი 3% ბიტუმი 3% (სისქე18სმ)
საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 8-სმ

საფარის შუა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 8-სმ

საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით ადჰეზიური დანამატით სისქით 5-სმ

გზის მიერთებების საგზაო სამოსი:

მიერთებების რაოდენობა: 23

საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი მასალით (0-120) (სისქე 25სმ)
საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა 70% ფრაქციული ღორღისა (ფრ 0-40 მმ) და 30 % ასფალტის გრანულატის ნარევით (სისქე 18 სმ)
საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 6-სმ
საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით ადჰეზიური დანამატით სისქით 4-სმ

ძირითდი გზის სათადარიგო ზოლებთან შეუღლებების რაოდენობა: 23
საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევით სისქით 5-სმ

გზის ეზოში შესასვლელების საგზაო სამოსის
გაანგარიშებისთვის დანიშნულია შემდეგი კონსტრუქცია:

ეზოში შესასვლელების რაოდენობა: 18

- საფარის ზედა ფენა-წვრილმარცვლოვანი მკვრივი ღორღოვანი ა/ბეტონის ცხელი ნარევი, სისქით 5 სმ.
- ფრაქციული ღორღი (0-40მმ) სისქით 10 სმ.
- ქვიშა ხრეშოვანი ნარევი (ფრ. 0-70) სისქით 15 სმ.

სანიაღვრე ქსელი : საპროექტო ტერიტორიის სანიაღვრე სისტემის შესწავლა და სისტემის სარეაბილიტაციო-სარეაკონსტრუქციო და ახალი სისტემის მოწყობის სამუშაოების დაგეგმვა მოხდა თბილსერვისის წარმომადგენლებთან ერთად და შეთანხმდა პროექტი.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ყველა ჭა პირობითად დანომრილი იქნა ჩვენს მიერ, რაც ნაჩვენებია გზის და საპროექტო გეგმებზე. სანიაღვრე ქსელების გეგმებზე შენიშვნის სახით მოცემულია აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსაწყობი სანიაღვრე სისტემის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოები.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ყველა ჭაზე უნდა მოხდეს გადახურვის ფილების შეცვლა თავისი ჩარჩოხუფებით.

თბილსერვისის ხელმძღვანელობის მოთხოვნით პროექტში გათვალისწინებული იქნა არსებული გვერდმიმღები ჭების სახურავების გამოცვლა ანალოგიური ან უკეთესი ხარისხის გვერდმიმიღებებით,

თბილსერვისის ხელმძღვანელობის მოთხოვნის აუცილებელი პირობაა, გზის მშენებლობის პროცესში გამოძახებული იქნას თბილსერვისის სანიაღვრე ქსელის ექსპლოატაციის წარმომადგენელი, რათა დადგინდეს დამარხული ჭები ეკუთვნის თუ არა თბილსერვისს.

საპროექტო გზის III ღერძზე ეწყობა ახალი სანიაღვრე ქსელი, რომელმაც უნდა გაიაროს მიწისქვეშა გადასასვლელის ქვევით. MK-8 და MK-9 ჭებს შორის გათვალისწინებულია რკ/ბ-ის 600მმ დიამეტრის მილი. იმის გამო, რომ თხრილის სიღრმე 5-6მ-ია თხრილის მოწყობისათვის გათვალისწინებულია 3მ-ის სიგანის თარო. მილის ჩადებისათვის გათვალისწინებულია მიწის ჰორიზონტალური გაბურღვა „კროტით“, რომელიც თხრილში უნდა მოთავსდეს ამწით.

ჯორჯ ბუშის ქუჩის მონაკვეთზე ეწყობა 8 სახანძრო ჰიდრანტი, რომელთა ადგილმდებარეობა შეთანხმებულია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-თან და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

არსებული პროექტის შედგენამდე ტერიტორიაზე **არსებული კომუნიკაციების** შესწავლისა და შეთანხმების მიზნით კომუნიკაციების მფლობელებს მივმართეთ წერილობით და მივიღეთ მათგან წერილები და ვექტორული ფაილები, სადაც დატანილია მათ საკუთრებაში არსებული კომუნიკაციები, მიგვაჩნია, რომ მიზანშწონილია მოხდეს დაზიანებული კომუნიკაციების გამოცვლა კომუნიკაციების მესაკუთრეების მიერ, გზის დაგების სამუშაოების ჩატარებამდე.

სამშენებლო სამუშაოების დაწყების წინ სამშენებლო კომპანიამ უნდა მიმართოს შესაბამისი კომუნიკაციების მფლობელებს, რათა ისინი დაესწრონ ზემოთაღნიშნული სამუშაოების ჩატარებას იმ ტერტიტორიაზე სადაც განლაგებულია მათ საკუთრებაში არსებული კომუნიკაციები.

საპროექტო ტერიტორიაზე არ ხდება ელექტროგადამცემი ხაზების, წყალსადენების. კავშირგაბმულობის კაბელების (საირიგაციო სისტემის, გაზის და ნავთობის მილსადენების) და სხვა კომუნიკაციების გადატანა.

საპროექტო ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის პროექტში გათვალისწინებულია მეორადი მასალა: ადგილზე ფრეზირებული და დასაწყობებული ასფალტო-ბეტონის გრანულატი, რომლის მოცულობა მოცემულია მასალათა კრებსით უწყისში.

საპროექტო ტერიტორიაზე მოძრაობის ორგანიზაციის (საგზაო ნიშნები, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნა) საზოგადო ტრანსპორტის გასაჩერებელი ადგილების განლაგებისა პროექტი შეთანხმებული იქნა ქ.თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტცია.

სამუშაოთა ორგანიზაცია: გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი სტანდარტების და ნორმების სრული დაცვით.

სამუშაოების ტექნოლოგიური სქემები ტიპიურია. სამუშაო უნდა შესრულდეს ВСН 24-88"საავტომობილო გზების შეკეთებისა და შენახვის ტექნიკური წესები"-ს, СниП 3.06.03-85-ის, „საავტომობილო გზები“ და СниП 3.06.04-91-ის „ხიდები და მილები“-ს შესაბამისად.

შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და მშენებლობის მაქსიმალურად შემცირების მიზნით მიღებულია სამუშაოების კომპლექსური მექანიზმებითა და სპეციალიზირებული საწრმოო ბრიგადებით შესრულება, შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების თანამედროვე ფორმა-მეთოდების გამოყენებით.

მშენებლობის პერიოდში გზის მონაკვეთების დროებითი ჩაკეტვის დროს, უნდა უზრუნველყოფილი იქნას ალტერნატიული მისასვლელები და განლაგდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები, სადაც ეს შესაძლებელია, რათა დაინტერესებულმა პირებმა მიიღონ საჭირო ინფორმაცია.

სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების პერიოდში მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოების ადგილების შემოფარგვლა შესრულდეს მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოების ადგილების შემოფარგვლის ინსტრუქციის, ВСН 37-84-ის შესაბამისად. სამუშაოების შემსრულებელმა ორგანიზაციამ უნდა შეადგინოს შესაბამისი სქემები და უნდა შეათანხმოს შესაბამის სამსახურებთან. ასევე აუცილებელია საგზაო სამუშაოების წარმოებისას სამუშაოთა წარმოების ზონაში მოხვედრილი კომუნიკაციების მფლობელთა წინასწარ გაფრთხილება და დასწრება, აგრეთვე იმ მოთხოვნების გათვალისწინება, რომელიც წარმოდგენილია მათ წერილებში (წერილები და ამ წერილების დანართები პროექტს თან ერთვის).

სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო ყველა მასალა, ნახევაფაბრიკატი და კონსტრუქცია უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო მონაცემებს, სათანადო სტანდარტებს და აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს.

შესრულებული სამუშაოების მთლიანი მოცულობისთვის მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე განსაზღრულია ძირითადი სამშენებლო მასალების, მანქანა-მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების საჭირო რაოდენობები.

ტერიტორიაზე უნდა იყოს მოწყობილი ხანძარსაწინააღმდეგო დაფები და სტენდები.

საპროექტო ზოლის მოწყობის სამუშაოები იწყება მოსამზადებელი სამუშაოებით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ტერიტორიის მომზადების, ასევე სადემონტაჟო სამუშაოებს. ამის შემდეგ სრულდება მიწის დამუშავების სამუშაოები, შემდეგ: მიერთებების მოწყობა, ეზოში შესასვლელების მოწყობა, სანიაღვრე ქსელის მოწყობა, გზის საფარის მოწყობა.

ობიექტის სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს ტერიტორიის გაწმენდა სამშენებლონარჩენებისაგან.

მშენებლობის ხანგრძლივობა ტოლია 270 კალენდარული დღის.

შრომის დაცვა და უსაფრთხოების ტექნიკა:

გზაზე მომუშავენი უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეც. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა საჭირო აღჭურვილობა) და ასევე უნდა სრულდებოდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებები (სამუშაო ადგილის შემოფარგვლა, უსაფრთხოების ღონისძიებები). უნდა იყოს გზაზე მომუშავეთათვის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები. თავშესაფარიდა წვიმის და მზის რადიაციისგან.

აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა. მათი სწავლება ყველა მომუშავეთათვის. სამუშაოს დაწყების წინ ინსტრუქტაჟის ჩატარება, უსაფრთხოების წესების სწავლება, მშენებელი ორგანიზაცია ვალდებულია და პასუხისმგებელია სამუშაოები აწარმოოს უსაფრთხოების, შრომის, საწარმოო სანიტარიის წესების სრული დაცვით.

მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს სამშენებლო მოედანზე ყოფნისას უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, ხოლო სპეციალური სამუშაოები უნდაშესრულდეს სათანადო აღჭურვილობის გამოყენებით. მშენებლობის ყველა ობიექტზე უნდა იყოს პირველი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები. სამშენებლო სამუშაოთა წარმოების უბანი და ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტრავმატიზმის შესაძლებლობა. სათავსები, სადაც წარმოებს მტვერისებრ მასალებთანმ უშაობა, ასევე, სამსხვრევ, საფქვავ და გასაცრელ მანქანებთან მუშაობის ადგილები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავენტილაციო სისტემებით ან განიავებით, ხოლო მუშები მუშაობისას უნდა იყენებდნენ რესპირატორებს. სამშენებლო მოედნის ორგანიზება სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება. სამშენებლო მოედანი დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სივრცისმომიჯნავედ ან მოქმედი საწარმოს ტერიტორიაზე უნდა იქნეს შემოღობილი, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა. სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/დაგამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. იმავე წესით უნდა შემოიღობოს სადემონტაჟო ნაგებობის ტერიტორია. ჭები, შურფები, ნათხარ გრუნტებში ხალხის შესაძლო მოხვედრის ადგილები დახურული უნდაიყოს ხუფებით, ფარებით ან უნდა იყოს შემოღობილი. სიბნელის დროს გარე (პერიმეტრული) შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. ღამის საათებში მუშაობის შემთხვევაში, სამშენებლო მოედანი, სამუშაოუბანი, გასასვლელები და მისასვლელები სათანადოდ უნდა იყოს განათებული. სამშენებლო მოედანზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებით და სათანადო წარწერებით. ჭებში, შურფებში ან დახურულ სათავსებში, სადაც არსებობს გაზების დაგროვების საშიშროება, სამუშაოები უნდა შესრულდეს აირწინაღების გამოყენებით.

მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობების სამშენებლო მოედანზე განთავსებისას მიღებულ უნდაიქნეს ზომები მათი ჩამოცურების, ჯდენის, ჩამოცვენის და გაშლის საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკურია ღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათიექსპლოატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის ან/და სათადარიგო ნაწილის გამოყენება.

ხარაჩოები უნდა დაიდგას დატვირთვების ამტანუნარიანობის გათვალიწინებით, მათი მდგრადობის უზრუნველყოფით. ქარხნული წესით დამზადებული ხარაჩოების დაყენება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის ინსტრუქციის გათვალისწინებით. მანქანა–მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილიწ ესების შესაბამისად. მანქანა–მექანიზმების მუშაობის ზონაში უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები. ტვირთის ჩაბმა ასაწევად არუნდა მოხდეს თვითნაკეთი